საქართველოს მემარცხ.ნე სოც.-ფედ. რევ. პარტია.

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 7.000.000 მან.
ცალკე ნომერი უველგან 500,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ნონპარელი
4 „ 15 „ „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 1 მ. 20 კ. ჩერვონ.
4 „ 1 მ. —

№ 638 ოთხშაბათი, დეკემბრის 5, 1923 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 500,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უნდა გამოინახოს საშუალება

ეკონომიური მაჯის ცემის გაძლიერება უდაო ფაქტია. საბჭოთა რესპუბლიკებში თვალსაჩინოა სამეურნეო ცხოვრების აღორძინება. განსაკუთრებით ხელშესახებია ინდუსტრიალური წარმოების გაუმჯობესება წინა ხანებთან შედარებით. იყო დრო, როდესაც ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები, საწარმოო იარაღები უმოქმედობაში იხრჩობოდა. ეკონომიურ სიქესატეს, სამეურნეო ცხოვრების ზედმიწევნით გართულებას დიდი ადგილი ჰქონდა დაჭერილი რევოლიუციონურ ქვეყნების ვითარებაში. საგარეო და საშინაო მდგომარეობა არ იძლეოდა აღმშენებლობითი მუშაობის საშუალებას ქვეყნის ეკონომიკის აყვავების საქმეში.

სამხედრო კომუნიზმის ტრაპიკული ცხელება უკვე განვლო მებრძოლ პროლეტარიატმა. დღეს ჩვენს წინაშე გადაშლილია ნორმალური საქმიანობის, მშვიდობიანი მოღვაწეობის ასპარეზი. გადავედით სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე. ინდუსტრიალური წარმოება გაიზარდა, ფაბრიკა-ქარხნები ახმაურდა, შრომის არმია ჩაება საკუთარი სამეფოს ეკონომიური ხერხემლის გაკაჟების ფერხულში. საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ საგარეო ფრონტზე ნიადაგი მოუმზადა გამარჯვებას საშინაო პოზიციებზედაც.

ქალაქის მუშების მდგომარეობა ამ ჟამად დიდად გაუმჯობესებულია. შრომის ხელფასი უკვე უახლოვდება, ხშირად უთანაბრდება ომამდე არსებულ ხელფასის რაოდენობას. გარდა ამისა, ფაბრიკა-ქარხნის მუშებისათვის არსებობს სხვა გვარი შეღავათებიც. ბინის საკითხი, სურსათ-სანოვაგით მომარაგების საქმე, ჰიგიენური მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და მრავალი სხვა უკვე არ სდგას ქალაქის მუშის წინაშე მთელი თავისი სიმკაცრით. საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო პროლეტარული ფენების გამოყვანა დუხჭირ მდგომარეობიდან. ჩაქუჩმა გაიმარჯვა „ყვითელთან“ ბრძოლაში. კომუნისტური პარტიის გაბატონებამ შრომის წარმომადგენლებს გაუხსნა ადამიანური ცხოვრების და თავისუფალი არსებობის კარები. ეს უდაო ფაქტია და მის სისწორეში დარწმუნებული არიან არა მარტო საბჭოთა რესპუბლიკების მუშები და გლეხები, არამედ მთელი ქვეყნის პროლეტარული წრეები.

სამწუხაროდ, თანამედროვე სოფლის ცხოვრების შესახებ ასე არ ითქმის. სოფლის მშრომელი მასსა მეტად მწვავე და გართულებულ ეკონომიურ-ფინანსიურ მდგომარეობას განიცდის. ჩვენ არა ერთხელ და ორხელ გვიწერია ამ თემაზე. ბევრჯერ აღგვინუსხავს თანამედროვე სოფლის სავალალო ვითარება. მაგრამ არსებული მდგომარეობა მაინც არ გვაძლევს დუმილის საშუალებას. გალატაკებულ გლეხს არ აცვია ფეხზე, არ აცვია ტანზე, იგი გაშიშვლებულია. სანოვაგის უქონლობა ყელზე მუხრუჭს უჭერს მიწის მუშას. ჩვენ ვიცით ამის მიზეზი. სოფლის ნაწარმოებისათვის ბაზრის კარების დახშობა ერთი უახლოესი პირობათაგანია სოფლის გალატაკების. ფაბრიკატები ოქროს კურსის მიხედვით იყიდება. ოქრო კი მუდამ დღე მატულობს გლეხს კი წარმოდგენაც არ აქვს ვალიუტაზე. მან არ იცის რა ქნას, როდესაც ხედავს, რომ მუშათა კოოპერატივში უბრალო ჩითი გუშინ 4—5 მილიონი ღირდა, დღეს კი 6—7. მართალია, უკანასკნელ ხანებში ფაბრიკატები გაიაფდა. მაგრამ არის ეგ გაიაფება სოფლისათვის საგრძნობი? სამწუხაროდ არა. ეს იმიტომ, რომ თვით სოფლის ნაწარმოები არ გადის ჩერვონცების გამოანგარიშებით. სოფელი ამას ვერ ახერხებს პრაქტიკულად.

სახელმწიფო კაპიტალის დაგროვების პერიოდში ქალაქის მუშები დიდს ეკონომიურ მომჭირნეობას განიცდიდნენ. ხელფასი უმნიშვნელო იყო, ხოლო სამუშაო საათების რიცხვი საგულისხმოდ გადიდებული. ამ ჟამად ამ მდგომარეობას არსად არა აქვს ადგილი ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში. გლეხკაცობა სწორედ ახლაა ჩავარდნილი „დაგროვების“ სუსხის მზგავს მდგომარეობაში. უნდა გავიღოთ შესაძლებლობის მაქსიმუმი და გავაუმჯობესოთ ღარიბი გლეხის ცხოვრება.

საბჭოთა ხელისუფლებამ და კომუნისტურმა პარტიამ სოფლის ღარიბ მასსას ბევრი რამ მისცა. მიწის მუშებმა მიიღეს მიწა და თავისუფლება. გლეხს არ აწუხებს მიწის სივიწროვე. მიწა ეკუთვნის იმას, ვინც მას ამუშავებს საკუთარის მარჯვენით. მოისპო ფეოდალური ურთიერთობის ნაშთები. მიწის სოციალიზაციით მტკიცე ეკონომიური საფუძველი ჩაეყარა სოფლად თავად აზნაურულ, წოდებრივ სხვადასხვაობის, სოციალურ განჯგუფების აღმოფხვრას. ღარიბ გლეხს არ აწუხებს არც გადასახადები, არც მოხელეები, არც მღვდლები და მოლოზნები. იცის ყოველივე ეს ჩვენმა გლეხმა? რასაკვირველია, იცის. იგი უშუალოდ ხედავს საბჭოთა ხელისუფლების ღვაწლს მშრომელი მასსის წინაშე. თანამედროვე გლეხ-კაცი გრძნობს, კიდევ მეტი— განიცდის ოქტომბრის შედეგებს. არა აქვს გასაქანი არც ერთ დემაგოგს, საერთოდ ისეთ ხალხს, შავრაზმულ ელემენტებს, რომლებიც გამსჭვალული არიან საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. უნდა აღინიშნოს ხაზგასმით, რომ **მშრომელი გლეხობა ორგანიულად დაუკავშირდა არსებულ რეჟიმს, ღარიბი გლეხკაცობა ჩაება კომუნისტური იდეებისათვის ბრძოლის ორომტრიალში**. კომპარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა მუშათა საქართველოში არა მარტო პრაქტიკულად, არამედ მორალურადაც.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ჟამად შექმნილი კრიზისი სოფლად გლეხს აწყევლინებს ბედს და გაჩენას. ბავშები, მოზრდილები, დედაკაცები ველარ გამოდიან შინიდან, მოწაფეები ვერ მიდიან სკოლაში. სიტიტვლე და მისგან გამომდინარე გრძნობები არ აძლევს სოფლის მკვიდრთ ადამიანურ ყოფა ცხოვრების, „ხალხში გარევის“ საშუალებას. არაა იშვიათი ეგზემპლიარი სოფლად ისეთი მაგალითი, ფაქტი, როდესაც გლეხ-კაცი ცოლ-შვილით საწნეხელში წვება, რომელიც „ჩაბუმბულებულია“ ჩალით... ეგ მწვავე მომენტები გლეხს ართმევს საღი მსჯელობის, საღი აზროვნობის შესაძლებლობას.

რა გზას უნდა დავადგეთ? მთავარი ღონისძიება ფაბრიკატების გაიაფებაა ერთის მხრით და სოფლის ნაწარმოების გაძვირება—მეორე მხრით. ეს არაა იოლი საქმე. ეკონომიური ცხოვრების ევოლიუცია საკუთარი ლიანდაგზე მიმდინარეობს და მისი მიმართულების შეცვლა არ შეიძლება დაკვრითი წესებით. გვრჩება შედარებით რეალური პრაქტიკული ხასიათის საშუალება. ეს არის ზედმეტი ხარჯების ეკონომია. ამ შემთხვევაში უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია ზედმიწევნით გადიდებული ჯამაგირები. მრავლად მოიპოვებიან ისეთი მუშაკები, რომელთა თვიური გასამრჯელო 800—900 საქონლის მანეთს უდრის (დაახლოებით 30 მილიარდი ა. კ. ბონებით!).

ჩვენ გვაქვს შემოღებული ე. წ. „საპასუხისმგებლო ულუფები“. განსაკუთრებით სპეცები სარგებლობენ პრივილეგიური მდგომარეობით. ჩვენ, კომუნისტები, ჩვენს ძალ-ღონეს და შრომას ხელფასის არშინით კი არ ვზომავთ, არამედ მშრომელი მასსის ინტერესებით. მშრომელი მასსა მოითხოვს ჩვენგან დაუღალავ ენერგიულ საქმიანობას. ჩვენც ამისთვისა ვართ გაჩენილი და მოწოდებული. საცხოვრებელი მინიმუმი და არა მაქსიმუმი—აი რა უნდა იქნას დაცული ჩვენი პასუხისმგებლო, საერთოდ—პროლეტარულ სახელმწიფოს აღმშენებლობაში ჩაყურყუმელავებულ ამხანაგებს შორის. ფული, კარიერა, ავტომობილი—ბურჟუაზიული წრეების ოცნებაა.

ბურჟუა „სახელმწიფო მოღვაწე“ „მოღვაწეობს“ იმდენად, რამდენად ამ „მოღვაწეობის“ შედეგში მას ოქროების ჩხრიალი ელანდება. ჩვენთვის, პროლეტარული წრიდან გამოსულ ელემენტების და მშრომელი მასსის ინტერესებისათვის მებრძოლთათვის არსებობს ერთად ერთი გენერალური საკითხი—მუშათა კლასის განთავისუფლება პოლიტიკურად. ამ მიზნისათვის ჩვენ გავიღებთ შესაძლებლობის მაქსიმუმს. პირადი ანგარიშების საქმე ჩვენს წინაშე მიჩქმალულია ერთხელ და სამოლოოდ.

განსხვავებული და გართულებული სურათი იშლება ჩვენს წინაშე „სპეცების“ საკითხის განხილვის დროს ჩვენ არ გაგვაჩნია საკმაო რიცხვი წითელი სპეცების. ეს ჩვენი უბედურებაა. პროლეტარული უმაღლესი სასწავლებლები ახლო მომავალში მოგვცემს პროლეტარულ სპეცებს. დღეს კი „მოლოდინი“ არ ცვლის მდგომარეობას. ჩვენ ვართ იძულებული დათმობის გზას დავადგეთ ამ „ნასწავლ“ ხალხის წინაშე, გაუწიოთ ანგარიში მათ პრეტენზიებს და უკანასკნელი კაპეიკები გავიღოთ მათი ჯიბეების გასასქელებლათ. მაგრამ აქაც ყოველთვის არ გამოგვადგება ლმობიერების პოლიტიკა. ჩვენ უნდა ძალზე შევკვეცოთ თავზე ხელაღებულ სპეცების „ფინანსიური ფრთები“. პროლეტარულ დიქტატურის სუსხმა უნდა აგრძნობინოს ყველას, რომ ძველი ცხოვრების პირობები მოისპო სამუდამოდ და ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისათვის არსებობს არა ფინანსიური ზომები და მოტივები, არამედ საზოგადოებრივი ინტერესები.

გავყვეთ ქვევით. ჩვენს დედა-ქალაქში არსებობს „ესთეტიური“ დაწესებულება, რომლის შენახვა მშრომელ მასსას უჯდება აუარებელი მილიარდები ყოველთვიურად. გადაავლეთ თვალი სოფლის სიღატაკეს და სთქვით: არის ეს მიზანშეწონილი? ცხადია არა.

ჩვენ დღეს დიდ მომჭირნეობის ხანაში ვცხოვრობთ. ყოველი გროში, ყოველი არშინი ჩითი დიდად ფასობს სოფლისათვის. უნდა მოვახდინოთ ფინანსიური საშუალებების მობილიზაცია და შემოვიღოთ დაკვრითი წესები გაღატაკებული, გაძვალტყავებული გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

აშკარაა, ჩვენს წინაშე დიდძალი პრაქტიკული სიძნელეებია გადაშლილი. კომუნისტური პარტიის რევოლიუციონური სიმტკიცე და მუშაობის სიფოლადე საწინდარია სოფლის ფრონტზედაც ბრწყინვალე გამარჯვების. ის საშუალებანი, რომელსაც აქ ვაყენებთ სქემატიურად, მოგვცემს საგულისხმო რეზულტატებს. უნდა მოისპოს ზედმეტი ხარჯები, „გაბერილი“ ჯამაგირები. უკეთესია სოფელში შესვლა არშინი ნარმით და გირვანქა მარილით, ვიდრე ვრცელი მოხსენებებით, ლამაზ-ლამაზი სიტყვებით და უსაზღვრო დაპირებებით.

ჩვენს წინაშე გაშლილია სოფლის ეკონომიკის, გაუმჯობესობის ფრონტი. ყველანი ამ ფრონტისაკენ, ყოველივე ამ ფრონტზე გამარჯვებისათვის!

## შრომა

### მუშათა ფაკულტეტების იუბილე და მისი მნიშვნელობა პროლეტარულ კულტურისათვის.

ამ სათაურით გაზ. „კომუნისტი“-ს მე-279 №-ში მოთავსებულია ამხ. მარიამ ორახელაშვილის წერილი. მოგვყავს უცვლელად:

„ა. წ. სექტემბერში რუსეთის პროლეტარიატმა მოაწყო იუბილე—დიდი გამარჯვების დღესასწაული ერთ ერთ მნიშვნელოვან ფრონტზე—მეცნიერების და ცოდნის და უფლების ფრონტზე.

შესრულდა სამი წელი დღიდან მუშფაკის დაარსებისა მუშათა-ფაკულტეტის გახსნის დღე ჩვენში დღესასწაულად უნდა ჩაითვალოს რადგანაც ეს ახალი ხანის, ახალი ეპოქის დასაწყისია. მისი დაარსებისას ახალი ურთიერთობა დამყარდა პროლეტარიატს და მეცნიერებას შორის.

პროლეტარიატის დიქტატურას მეცნიერების საძირკველიც ესაჭიროება. საკუთარი თეორია, საკუთარი ტეხნიკოსები, საკუთარი მეცნიერები განსაკუთრებით საჭიროა მისთვის, სახელმწიფო ძალა-უფლების, მრეწველობის, ტრანსპორტის და სხვა დარგების დაუფლებასთან ერთად პროლეტარიატმა უნდა დაიპყროს მეცნიერებაც, უნდა გააჩაღოს საკუთარი კულტურა. მუდამ სპეციალისტების იმედით ყოფნა შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მათგანი არ ურიგდებიან და ვერც შეურიგდებიან პროლეტარიატის ბატონობას.

მდგომარეობა ისეთია, რომ შეუძლებელია მოცდა, სანამ დაბალი საფეხურის მოწაფეები, მშრომელი კლასის წევრებიდან გამოსულნი, უმაღლეს სკოლას დაასრულებენ. ამიტომ საჭირო და აუცილებელი იყო ჩვენებურად, რევოლიუციონურად შევსდგომოდით კულტურის, მეცნიერების დაპყრობას.

ასეთი დაპყრობის ერთ-ერთი იარაღია მუშათა ფაკულტეტები.

მეორე მხრივ საჭირო იყო უმაღლესი სკოლის მნიშვნელობის და ავტორიტეტის ამაღლება.

თუ ოქტომბრის რევოლიუციამდე უნივერსიტეტი და სტუდენტი მუშის თითქმი ბუნებრივ ამხანაგ-მეგობრად ითვლებოდენ და მასთან ერთად უკეთესი მომავლისათვის იბრძოდენ, სამაგიეროდ ოქტომბრის შემდეგ, უდიდესი ბრძოლა-გამარჯვების ხანაში სტუდენტობის უმეტესი ნაწილი რევოლიუციის მტრების ბანაკში აღმოჩნდა, რევოლიუციის ბარიკადის იქით დაიკავა თავისი ადგილი.

ამით წერტილი დაესვა ძველ სტუდენტობის რევოლიუციონერობას. ამიტომ ჩვენ დღეს გვესაჭიროება ავტორიტეტით მოსილი უმაღლესი სკოლა, ჩვენ გვსურს არა მარტო შევურიგოთ ის პროლეტარიატს, არამედ დავუქვემდებაროთ ის მშრომელებს. ამას ჩვენ შევძლებთ უნივერსიტეტში მუშური ელემენტის გამრავლებით, მუშათა ფაკულტეტის რიცხვის გადიდებით, ჯანსაღი პროლეტარულ მასების იქ ამოძრავებით. მაშინ ყველა შეიგნებს, რომ უმაღლესი სკოლა პროლეტარულ დიქტატურისაგან ავტონომიას კი არ საჭიროებს, არამედ ისეთ პირობების შექმნა-განმტკიცებას, როცა თითონ სკოლა, თითოეული მომქმედი პიროვნება, მთელი მეცნიერება მშრომელთა საკეთილდღეოთ იმოძრავებს, მათ ემსახურება. არა მშრომელებზე გაბატონება, არამედ მშრომელთა ბატონობის განმტკიცება, აი რა მიზანი უნდა ასულდგმულებდეს, აი რას უნდა ემსახურებოდეს ჩვენი ახალი სკოლა—**უნივერსიტეტი**. ახლა, მუშფაკების 3 წლის არსებობის თავზე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სასწავლებელმა უკვე დაიწყო მიზანშეწონილობით, თანდათანობით დაზგის და გუთნის ჭეშმარიტ პროლეტარების მიზიდვა რუსეთში ათასობით და ჩვენში-კი ჯერ მხოლოდ ათეულობით და მომავალში იმედია ასეულობითაც.

ეს მუშაობა მეტად მძიმე იყო პროლეტარულ სტუდენტობისათვის. სიცივე-სიმშილი და არსებობისათვის ყოველივე აუცილებელ ელემენტარული პირობების უქონლობა,—აი ბედი ჩვენი სტუდენტებისა, და მხოლოდ პროლეტარულმა სიმტკიცემ ნებისყოფამ მიაღწევია მათ ამ გამარჯვებას.

ახლა კი საჭიროა გაგრძელება-გაღრმავება და გაფართოება დაწყებული საქმისა. საჭიროა ყოველმხრივი დახმარება ყველასაგან, ვისთვისაც კი ძვირფასი უმაღლეს სკოლების პროლეტარულ სტუდენტობის ინტერესები“.

## ბოლო-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები 4 დეკემბრიდან).

— ტიურინგიაში ბურჟუაზიულმა პარტიებმა უნდობლობა გამოუცხადეს მთავრობას.

— ტიურინგიაში მოწვეულია სოც.-დემ. პარტიის კონფერენცია

— ბრაუნშვეიგში ბურჟუაზიული პარტიები მოითხოვენ ლანდტაგის დათხოვნას და ახალი არჩევნების დანიშვნას.

— ბავარიის სახალხო პარტიაში 3 მიმდინარეობაა.

— იარრესმა დაადასტურა, რომ მთავრობა იზიარებს სამუშაო დღე გააგრძელოს ერთი საათით.

— საფრანგეთის პრესის აზრით, გერმანეთის ახალი მთავრობა არაფრით განირჩევა ძველისაგან

— დრეზდენში გაიხსნა მემარჯვენე სოც.-დემ. ყრილობა.

— სოც.-დემ. ყრილობამ დრეზდენში დაჰგმო ცეკას პოლიტიკა და მოითხოვა შეეცადნენ კომუნისტებთან შეთანხმებას და მთავრობის შედგენას.

— გერმანეთში მზადდება კანონპროექტი, რომლითაც სახელმწიფო მოსამსახურეთათვის დაწესდება 9 საათის სამუშაო დღე

— საფრანგეთის მართებლობის დამოკიდებულება მცხოვრებლებისადმი შეიცვალა დიუსელდორფის შეთანხმების შემდეგ.

— ველსში კომპარტიამ დიდი საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყო.

— საფრანგეთის პარლამენტში კაშენმა სასტიკად გააკრიტიკა რურის ოკუპაცია.

— საფრანგეთისა და ინგლისის ბურჟუაზიული პრესა გახარებულია სარეპარაციო კომისიაში მიღწეულ შეთანხმების გამო.

დრეზდენში სოც.-დემ. საიდუმლო კრებაზე დაადგინა განაგრძოს ანტი-კომუნისტური პოლიტიკა

## გერმანეთის ამბები

### ტიურინგიაში.

ბერლინი. ტიურინგიის ლანდტაგმა კომუნისტებისა და ბურჟუაზიულ პარტიების ხმების უმრავლესობით უარჰყო მთავრობის წინადადება, რათა

მთავრობის შემადგენლობიდან გამოსულ კომუნისტების ადგილი დაეჭირათ სოც.-დემოკრატებს. ბურჟუაზიული პარტიების წინადადება, რათა კაბინეტი შემდგარიყო ყველა ბურჟუაზიული პარტიებისა და სოც.-დემოკრატების წარმომადგენლებისაგან, აგრეთვე უარყოფილ იქმნა სოც.-დემოკრატებისა და კომუნისტების ხმების უმრავლესობით. ამის შემდეგ ბურჟუაზიულმა პარტიებმა უნდობლობა გამოუცხადეს ფრელიხს. ლანდტაგის სხდომა შესწყდა. მოწვეულია სოც.-დემოკრატიული პარტიის კონფერენცია, მთავრობის კრიზისის განსახილველად.

### ბრაუნშვეიგში.

**ბერლინი.** ბრაუნშვეიგის ლანდტაგის ბურჟუაზიულმა პარტიებმა წინადადება შეიტანეს დაითხოვონ ლანდტაგი და დანიშნონ ახალი არჩევნები.

### ბავარიის სახალხო პარტიაში.

**ბერლინი.** ბავარიის სახალხო პარტიაში 3 მიმართულება იბრძვის: კარის მიმართულება—„სამშობლოს დაცვის კავშირების" არსებობის სასარგებლოდ; მიმართულება შინაგან საქმეთა მინისტრის შვეირრასი, რომელიც იბრძვის „სამშობლოს დაცვის კავშირების" წინააღმდეგ და მოითხოვს გენერალ კომისარის თანამდებობის გაუქმებას და მთელი ძალა-უფლების მთავრობისათვის გადაცემას და კნილინგის მიმართულება, რომელიც საჭიროდ სთვლის გენერალ კომისრის თანამდებობის არსებობას, ხოლო შეზღუდული კომპეტენციით და მოითხოვს „სამშობლოს დაცვის კავშირების" გაწმენდას ავანტიურისტულ ელემენტებისაგან.

კარის მომხრენი ძლიერ ეთიშებიან გიტლერს. გიტლერის მომხრეთა ორგანიზაციები აწარმოებენ საიდუმლო მოქმედებას, ავრცელებენ ბროშიურებს და მოწოდებებს და შოულობენ იარაღს.

### 9 საათის სამუშაო დღე.

**ბერლინი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა იარრესმა დაადასტურა, რომ მთავრობას განზრახვა აქვს დააწესოს 9 საათის სამუშაო დღე. ამის გამო სახელმწიფო მოსამსახურეთა შორის დიდი მღელვარება სუფევს,

### საფრანგეთის პრესა ახალ კაბინეთზედ.

**პარიზი.** საფრანგეთის პრესა აღნიშნავს, რომ გერმანეთის ახალი მთავრობა არაფრით განირჩევა შტრეზემანის მთავრობისაგან.

### საქსონიის სოც.-დემ. პარტიის ყრილობა.

**ბერლინი.** დრეზდენში გაიხსნა საქსონიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა, რომელზედაც მემარჯვენე და მემარცხენე ჯგუფებს შორის დიდმა უთანხმოებამ იჩინა თავი.

მოხსენება გააკეთა რეიხსტაგის დეპუტატმა ქალმა—სოც.-დემ. პარტიის მემარცხენე ფრთის წევრმა, ტონი ზინდერმა, რომელმაც სასტიკად გააკრიტიკა პარტიის ცეკა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პასიური წინააღმდეგობის დროს რურში სოც.-დემ. თანამშრომლობდენ უკიდურეს ნაციონალისტებთან. პარტია მხარს უჭერდა კუნოს პოლიტიკას, ვიდრე ფართო მასებს ძალა არ დაატანეს მას უარეყო პასიური წინააღმდეგობა. შტრეზემანის კაბინეთში სოც.-დემ. ერთ პოზიციას მეორეზე სთმობდა და მათვე ხმა მისცეს საალყო წესების შემოღებას.

„თუ ებერტს, განაცხადა მომხსენებელმა, არ შეუძლიან იმოქმედოს როგორც სოც.-დემოკრატმა იგი ისე მაინც უნდა მოიქცეს, როგორც შეჰფერის პატიოსან რესპუბლიკანელს. ჩვენ აღარ გვინდა კოალიცია. ჩვენ მოვითხოვთ, რათა პარტიამ აწარმოოს პატიოსანი ბრძოლა პროლეტარიატის სასარგებლოდ". მომხსენებელი მოითხოვდა ოპოზიციის დევნის მოსპობას.

ცეკის თავმჯდომარე დიტმანი, რომელიც მოხსენებით უნდა გამოსულიყო, მიუხედავად ყრილობის არა ერთი მიმართვისა, მაინც მოერიდა მოხსენებით გამოსვლას, რამაც საერთო აღშფოთება გამოიწვია.

თითქმის ყველა ორატორები წინააღმდეგნი იყვნენ ცეკის პოლიტიკისა. კამათში ჩარევის დროს, დიტმანმა განაცხადა რომ იგი ეთანხმება ტონი ზინდერს, მაგრამ მიმდინარე მომენტს მას პროლეტარიატის გამოსვლისათვის შესაფერისად არ მიაჩნია, მას რამდენჯერმე გააწყვეტინეს სიტყვა. როლესტ დიტმანმა, სიტყვის დასამთავრებლად, მოითხოვა ვადის გაგრძელება, ბევრმა ამაზედ პროტესტი განაცხადა, რის შემდეგაც შეურაცყოფილმა დიტმანმა დასტოვა სხდომის დარბაზი.

ყრილობამ 100 ხმის უმეტესობით, 2 წინააღმდეგ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ჰკიცხავს ცეკის კოალიციონურ პოლიტიკას და სამხედრო დიქტატურის მოტრფიალე ბურჟუაზიულ პარტიებთან თანამშრომლობას.

79 ხმის უმრავლესობით 21 წინააღმდეგ მიღებულია რეზოლიუცია, რომლითაც უნდობლობას უცხადებენ ცეკას.

შემდეგ სხდომაზედ მომხსენებელმა, საქსონიის სოც.-დემ. პარტიის ალმასკომის წარმომადგენელია სასტიკად გაილაშქრა ცეკას პოლიტიკის წინააღმდეგ საქსონიის საკითხში. მომხსენებელმა აღნიშნა რომ ცეკამ უნდა შესცვალოს თავისი დამოკიდებულება კომუნისტებისადმი (მონონების ხმაურობა), და რომ პარტიამ უნდა გამონახოს საერთო ენა კომუნისტებთან და ხელმეორედ მოიპოვოს პროლეტარიატის მიერ დაკარგული პოზიციები.

დიტმანი თავისი გრძელი სიტყვით სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ცეკა უდანაშაულოა მთავრობის გამოსვლაში საქსონიის წინააღმდეგ. დიტმანის სიტყვით, კომუნისტებთან თანამშრომლობა შეუძლებელია, რადგანაც კომპარტია მუშათა პარტია კი არა, „აჯანყებულთა" პარტია არისო.

შემდეგი ორატორები სასტიკად აკრიტიკებდენ დიტმანის განცხადებას და საქსონიის ლანდტაგის სოც.-დემ. ფრაქციის საქციელს, რომელმაც ხმა მისცა მთავრობის შედგენას უკომუნისტებოდ.

საბოლოო სიტყვაში მომხსენებელმა, იცავდა რა კომუნისტების ტაქტიკას, განაცხადა, რომ პარტიის ცეკა პასუხისმგებელია საქსონიის მუშათა დარბევისათვის. მომხსენებელმა რომელსაც დიდი ტაშის კვრით შეხვდნენ დამსწრენი, თავისი სიტყვა დაამთავრა განცხადებით, რომ სოც.-დემ. პარტიის ეხლანდელ ცეკას არ შესწევს ძალა იდეური ხელმძღვანელობა გაუწიოს პარტიას.

ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც თხოულობს ხელმეორედ სცადონ საქსონიის მთავრობის შედგენა კომუნისტებთან ერთად. რეზოლიუციის თანახმად, სოც.-დემ. შესვლა კოალიციონურ მთავრობაში შეიძლება მოხდეს მხოლოდ საერთო პარტიული ყრილობის ნებართვით.

გამოტანილია აგრეთვე რეზოლიუცია, რომელშიაც ყრილობა პროტესტს აცხადებს კომპარტიის აღკრძალვის გამო.

### სამუშაო დღე.

**ბერლინი.** მთელს ფრონტზედ გრძელდება გალაშქრება 8 საათიის სამუშაო დღის წინააღმდეგ. დასთანხმდნენ თუ არა რურის ოლქის სამთამადნო მრეწველობის პროფკავშირები სამუშაო დღის გაგრძელებას, რურის მრეწველებმა მაშინვე ასეთივე მოთხოვნილებით მიმართეს მელითონეებს. მელითონეთა პროფკავშირებმა უარჰყვეს მწარმოებელთა მოთხოვნილება და განაცხადეს, რომ ისინი განაგრძობენ ბრძოლას 8 საათის სამუშაო დღისათვის. ამასთან დაკავშირებით, კრუპპის წარმოებებმა სატარიფო ხელშეკრულები დარღვეულად გამოაცხადეს.

გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა, რომ მზადდება კანონპროექტა, რომელიც ეხება სახელმწიფო მოსამსახურეთათვის 54 საათიან სამუშაო კვირის დაწესებას.

### მცხოვრებთადმი დამოკიდებულების შეცვლა

**ბერლინი.** დიუსელდორფში დადებულ შეთანხმების შემდეგ, საფრანგეთის მართებლობის დამოკიდებულება ოკუპაცია ქნილ ოლქების მცხოვრებთადმი შეიცვალა, კრუპპის ქარხნების დირექტორები გაანთავისუფლეს, ესსენისა და ობერგაუზენის გაძევებულ ბურგომისტრებს ნება მიეცათ დაბრუნდნენ უკან.

### კომუნისტების გამოსვლა

**ბერლინი.** კელნში კომპარტიამ მოაწყო მასიური საპროტესტო დემონსტრაცია კომუნისტების დევნის წინააღმდეგ.

### კაშენის გამოსვლა

**პარიზი.** საფრანგეთის პარლამენტში წარმოთქმულ გრძელ სიტყვაში კომუნისტმა დეპუტატმა კაშენმა განაცხადა, რომ რურის ავანტიურას მეტად სატირალი და სამწუხარო შედეგები მოჰყვა: ცხოვრება გაძვირდა, ფინანსების საქმე დაირღვა, ფრანკი ეცემა, საფრანგეთმა ამ წელს გერმანეთისაგან 3—ჯერ უფრო ნაკლები მიიღო ნახშირი, ვიდრე შარშან. დიუსელდორფის შეთანხმება გერმანეთის მრეწველებთან მოგებას მხოლოდ მსხვილ მრეწველებს აძლევს და არა მთელს საფრანგეთს.

კაშენმა ხაზი გაუსვა, რომ თუ რურის ოკუპაცია ხელს უწყობდა ნაციონალიზმის განვითარებას გერმანეთში, ამავე დროს იგი ხელს უწყობდა გერმანეთის მუშების გარევოლიუციონერებას, კაშენის სიტყვით, გერმანეთის რევოლიუციისათვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური, ისე ზნეობრივი დახმარება საფრანგეთის კომპარტიის ბრძოლით.

### სარეპარაციო წერილები.

**პარიზი.** საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა დიდის აღფრთოვანებით ესალმება იმ შეთანხმებას, რომლითაც მიღებული იყო სარეპარაციო კომისიაში დადგენილება ექსპერტების კომისიის დაარსების შესახებ, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს საზღვარ-გარეთიდან გერმანეთის კაპიტალის დაბრუნებისა და გერმანეთის ბიუჯეტის წონასწორობის საკითხები, პრესა აღნიშნავს, რომ ანტანტის განმტკიცებას ხელი შეუწყო უმთავრესად ინგლისის შემარიგებელმა პოზიციამ. სარეპარაციო კომისიის სხდომის ბოლოს ბრედბერმა განაცხადა, რომ კომისიის გადაწყვეტილება არ არის საფრანგეთის ან ინგლისის გამარჯვების ნაყოფი; იგი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ განსაკუთრებით საჭიროა გერმანეთის მდგომარეობის შემსუბუქება. ბრედბერმა აღნიშნა, რომ კომისიამ უნდა განიხილოს გერმანეთის ვალების გადახდის უნარიანობის საკითხი, და, რომ კომისიის მუშაობას ნაყოფის გამოღება შეუძლიან მხოლოდ მაშინ, თუ ითანამშრომლებს ამერიკა.

„ჟურნალ ინდუსტრიელი" აღნიშნავს, რომ სარეპარაციო კომისიის გადაწყვეტილება უნანასკნელი ცდა არის „დაამყაროს ევროპაში წონასწორობა ვერსალის ხელშეკრულების დაურღვევლად."

**ლონდონი.** ინგლისის ბურჟუაზიული პრესა სიამოვნებით აღნიშნავს ინგლისსა და საფრანგეთს შორის მიღწეულ შეთანხმებას სარეპარაციო კომისიაში. კარგად გაცნობილ წრეებში აღნიშნავენ, რომ სარეპარაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გერმანეთის კაპიტალის დაბრუნების შესახებ საზღვარ გარეთიდან, არ არის სერიოზული, რადგანაც გერმანეთის კაპიტალი გარდა ინგლის-ამერიკისა, გაფანტულია ნეიტრალურ სახელმწიფოებში, რომლებიც არიან წარმოდგენილნი სარეპარაციო კომისიაში. ინგლისის ბანკერიც კ[...] მხოლოდ განსაკუთრებულმა პარლამენტის დადგენილებამ შეიძლება იძულებულ ჰყოს გამოამჟღავნოს თავისი საიდუმლო ანგარიშები.

### განსაკუთრებული უფლებები.

**ბერლინი** განსაკუთრებული უფლებები, რომელიც მარქსის კაბინეთმა უნდა გამოითხოვოს რეიხსტაგისაგან. ჰგულისხმობს აგრეთვე საგარეო სესხის ასაღებად მოლაპარაკების დაწყების უფლებას. ამბობენ, რომ შტრეზემანი, როგორც გარეშე საქმეთა მინისტრი რეიხსტაგში მოითხოვს 100 მ. მილ. ოქროს მარკის სესხს, გერმანეთის განძეულობაის სტაბილიზაციისათვის.

### სოც.-დემ. ანტი-კომუნისტური პოლიტიკა.

**ბერლინი.** დრეზდენში შესდგა სოც.-დემ. პარტიის საიდუმლო კრება, პარტიის ცენტრალური კომიტეტი შეთანხმდა განაგრძოს ანტი კომუნისტური პოლიტიკა.

### საზოგადო სამზარეულოების დახურვა.

**ბერლინი.** ბერლინს აღარ შეუძლიან შეინახოს საზოგადო სამზარეულოები, რომლებიც ამზადებდნენ სადილს 270.000 კაცისათვის.

### ისევ სეპერატიული მთავრობა.

**ბერლინი.** რეინალდის სეპარატისტები შეთანხმდნენ დორტენი დანიშნონ დროებითი სეპერატ[...]



# მეშვიდე წელი

უნდა ველოდეთ, რომ ამ **ოქტომბრის** შემდგომ მე-7-ე წელს, გადაწყდება ევროპის ბედი: მისი პროლეტარიატის და მასთან ერთად მისი მეურნეობისა და კულტურისაც. 1914 წლიდან ევროპა შედის თვითგანადგურების და თვით გაკოტრების ხანაში. ბურჟუაზია, რომლის ხელმძღვანელობითაც ევროპამ მიაღწია თავის ომის წინა ხანის ძლიერებას, ბოლომდის ამოიწურა და აღარა აქვს უნარი კვლავ განაგრძოს საზოგადოებრივ ცხოვრების მესვეურობა. საჭიროა ხელმძღვანელ კლასის შეცვლა, რომ კაცობრიობამ თავი დააღწიოს სისხლიან ჩიხს. მაგრამ ბურჟუაზიას არა სურს, რომ იგი ვინმემ შესცვალოს. და თუმცა ისტორიაში არა ერთხელ მომხდარა, რომ დრო მოჭმული ხელმძღვანელი კლასი ძალდატანებით დაუმხვია ახალ კლასს, მაგრამ წარსულს არასოდეს არ ახსოვს ესოდენ მდიდარი, განათლებული, ხერხიანი, თავის ბატონობის განმტკიცების საქმეში მაცდურობაზე დახელოვნებული კლასი, როგორიცაა ბურჟუაზია. მეორეს მხრივ, არასოდეს ხელისუფლებისთვის მებრძოლ კლასს არ შეხვდომია ამაღლებისაკენ სვლა ექსპლოატაციის და დაბეჩავების ეგზომ უმზგავსს ჯურღმულებიდან, როგორიც პროლეტარიატს, ბურჟუაზიის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ბრძოლამ საშინელი მუხრუჭი მოუჭირა ევროპის კისერს და 1914 წლიდან ჩვენ ვხედავთ, როგორ კოტრდება, სისხლიდან იცლება და ინგრევა ევროპა.

კაპიტალისტურმა ტეხნიკამ, სამეურნეო ორგანიზაციამ, ბურჟუაზიულ მეცნიერებამ განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწიეს ევროპის შუაგულში, გერმანიაში, და აი ეხლა გერმანია განართხულია ჩვენს წინაშე, როგორც დამონებული და მშიერი ქვეყანა. ჯერ ათი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც გერმანულ ბურჟუაზიამ დაიწყო ომი ევროპის ცენტრალისტურად გაერთიანებისთვის. ახლა კი გერმანელი კაპიტალისტები ანაწილებენ გერმანიას, და ფრანგულ ოქროსა და ხიშტების დახმარებით ჰქმნიან ბავარიის, რეინის და სხვა მახინჯ სახელმწიფოს უჯრედებს მხოლოდ იმისათვის რომ შეინარჩუნონ თავიანთ ხელში მათგანვე განადგურებულ სიმდიდრის ნარჩენი. აჯამბაზებს რა თავის საჭიროებისათვის სოციალ-დემოკრატიას, ბურჟუაზია ამასთან უფრო და უფრო იწევს პარლამენტარულ მეთოდებით ბატონობისაგან ფაშისტურ მეთოდებისაკენ.

ფაშიზმის გამარჯვება კი-რა ჯური დროშის და „იარლიჩკების" ქვეშ არ უნდა მივიდეს ის ხელისუფლებისადმი—ნიშნავს გერმანელ ხალხის ეკონომიურ და ეროვნულ სასტიკ დამონებას. სეპარატისტი პრინცი რუპრეხტი, „ცენტრალისტებილ იუდენდორფი და გიტლერი და წვრილი დაქირავებული ჟულიკები ახლად შეთითხნილ რეინის რესპუბლიკისა ერთნაირად ასახიერებენ შეიარაღებულ მანჭვა-გრეხას განწირულ კლასისას, რომელსაც არ უნდა სიკვდილი. ფაშისტებმა შესაძლებელია გასძლონ მხოლოდ მატერიალურ ძალის მუდმივ და განუწყვეტელ გამოყენებით. ძალა კი მათ ცოტა აქვთ, ამიტომ ისინი იძულებული არიან ეძიონ ძალა გარეთ, ე. ი. საფრანგეთში, და ამიტომ გერმანულ ნაციონალიზმის გამარჯვება უთუოთ ნიშანი იქნებოდა ბურჟუაზიულ „პატრიოტიზმის" სრულ და საბოლოო გახრწნისა, გერმანიის დაქუცმაცებისა და გაყიდვისა, მისი დალპობისა და დაღუპვისა.

ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო დიქტატურა საფრანგეთისა ევროპაზე ამავ დროს მიაღწევდა თავის სრულყოფას. მაგრამ ამათივე 39 მილიონიან საფრანგეთის ხალხს მხრებზე საბოლოოთ დააწვებოდა ისეთი სიმძიმე, რომელიც გასტეხდა მას. ფრანგულ კაპიტალის პირველობა ნიშანი იქნებოდა უაზრო და სისხლიან სახელმწიფოებრივ ხტუნაობისა ევროპაში ევროპის ბაზრის პროგრესიულ გამოფიტვის, ფრანგულ მეურნეობის ჟვითბლოკადის, მილიტარიზმის და სახელმწიფო ვალის ზრდისა. ტყვილათ ცდილობდა გერმანელი კაპიტალიზმის 1914 წლიდან ევროპის ცენტრალიზაციას, სამრეწველო ძალით განვითარების არენის შესაქმნელად. ძლევამოსილი ფრანგული კაპიტალიზმი 1918 წლიდან მხოლოდ იმას აკეთებს, რომ ევროპას გაკოტრების და დაქვეითების პროცესების „ცენტრალიზაციას" ჰქმნის და ამ სფეროში ვერავინ ვერ შეედრება ქინიან, ხარბ და ჩლუნგ წვრილ ბურჟუას, რომელიც ცნობილია პუანკარეს სახელით.

6 წლის წინეთ რუსეთის ახალგაზრდა პროლეტარიატმა, რომლის კისერზე იმ დღეებში მეტის ძალით მოჭერილი იყო მუხრუჭი, თავზედ ოქტომბრის ნახტომით გამოსავალი აჩვენა ევროპის მშრომელთ. მაშინ ჩვენ ყველას გვეგონა, რომ ეს გზა უფრო მოკლე და მარჯვეა ვიდრე ეს საქმეზე აღმოჩნდა.

მაგრამ თუმც უფრო მძიმე გამოდგა ეს გზა ვიდრე ჩვენი მოლოდინი იყო, იგი მაინც გამოდგა ერთად ერთი სწორე გზა, რადგან მას მივყევართ გამოსავლისაკენ.

ამან ახალი დადასტურება ჰპოვა გერმანულ ამბების განათების გავლენით, რომელნიც მრავალ წლების სივრცეზე წინასწარ გადასწყვიტეს ევროპის ბედი. თუ თავის თავად აღებული ნეპ-ის შუქი შეიძლებოდა მოგვჩვენებოდა ისტორიულ გზიდან პრინციპიალურ გადახვევათ, ახლა, როდესაც ისტორია მზათაა დასვას გერმანულ რევოლიუციის მიჯნა, ნეპ-ი თითქმის ხელშესახებ უეჭველობით, ისტორიულ ეპიზოდის ფარგლებში შედის, იხატება როგორც გზის მოვლა, რომელსაც ბურჟუაზიულ რეჟიმის სრულ ბატონობისაგან მივყევართ მის სრულ და საბოლოო ლიკვიდაციამდე.

რევოლუციონური ხანის 7 წელი მთელი თავისი სიდიადით აყენებს ხელისუფლებისათვის ბრძოლის პრობლემას გერმანიაში. ეს ამოცანა რამდენადაც რევოლიუციონურ—სამხედროა.

საბოლოოთ გამეძავებულ სოციალ-დემოკრატიის ცულლუტობისა და ინტრიგების საშუალებით. პროფკავშირთა ბიუროკრატიის გაუტანლობის რიალი სისტემის წყალობით, ბუნებრივ და ხელოვნურ კერძო და საერთო უმუშევრობის, გერმანიის სახელმწიფოებრივ დაქუცმაცების და, უკანასკნელათ, მძიმე და მსუბუქ ტყვიისმფრქვევლების დახმარებით ბურჟუაზია ისწრაფის გათიშოს. გაჰყოს, დაასუსტოს და მიწასთან გაასწოროს პროლეტარიატი. წაართვას მას **თავის თავის და თავის დანიშნულების რწმენა.**

რევოლიუციონურ—პოლიტიკური ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დავეხმართოთ მებრძოლ, დატანჯულ და სისხლიდან დაცლილ მასებს იგრძნოს თავისი კლასობრივი მთლიანობა უმაღლეს დაჭიმვის დროს—ძალაუფლების ხელში ჩაგდების ნიშნის ქვეშ. ოქტომბრის შემდეგ მე-7 წელს გერმანი[...] კომუნისტური პარტია უნდა წარსდგეს—და წარ[...]დგება კიდეც—გერმანელ პროლეტარიატის წინა[...] როგორც გერმანელ ხალხის მხსნელი, როგო[...] ნამდვილი კოლლექტიური ისტორიის მიერ მოწ[...]დებული მეთაური.

დაპყრობის წყურვილით შეკვრა პროლეტარ[...]ლი მილიონების უშუალოს პოლიტიკური წინასწა[...] პირობაა სამხედრო—რევოლიუციონურ ამოცა[...] გადაჭრისათვის, ე. ი. ფაშისტურ დიქტატურ[...] ფაქტიურ დამხობისათვის და სახელმწიფოს მა[...]რიალურ აპარატის ხელში ჩაგდებისთვის, ესაა ე[...]თად ერთი გერმანიის ხსნის გზა და მასთან მთე[...] ევროპისაც.

ჩვენ არ ვქმნით ეხლა არავითარ ილიუზი[...] ამ გზის სიმოკლის და სიმარტივის შესახებ, ჩ[...]ვიცით, რომ იგი იქნება საშინლათ მძიმე. [...] მოითხოვს უდიდეს მსხვერპლს. იგი დაბადებს ჯ[...] არ ყოფილ შერყევას. იგი უკურნებელ დარტყ[...] მიაყენებს იმ დაბალ ძალმომრეობისა და მშიშ[...]რობისაგან შექმნილ ევროპიულ „წონასწორობა[...] რომელიც თავის მატიანეს სთვლის მოკიდებუ[...] ვერსალის ზავის შემდეგ, სამოქალაქო ომი[...] რომელსაც გერმანულ ბურჟუაზიას საფრანგე[...] ბურჟუაზიასთან ერთად, სურს მისცეს მეტად [...]ტიკი და გამანადგურებელი ხასიათი, შეიძლ[...] აღმოცენდეს სისხლიანი შეტაკებები ძრიელ შო[...] გერმანიის საზღვრებიდან.

მე 7 წელი 2 ოქტომბრის შემდეგ იბად[...] მრისხანე წინათქმის ნიშნის ქვეშ, და ჩვენ, საბ[...]თა კავშირი ჯერ კიდევ ერთად ერთი ბურ[...] მშრომელთა—უნდა ვიყოთ უფრო ძლიერნი, მ[...]რნი, მჭიდრონი, შეიარაღებულნი ვიდრე ოდე[...] რათა დავხვდეთ ყველა გამოცდებს, რომელნიც [...] საძლოა მოგვიტანოს მომავალმა...

ძველ ბიბლიურ გადმოცემით პირველი 6 [...] იყო შრომის დღეები: ახალ ქვეყნის შექმნის, მ[...]ვიდე დღე კი იყო დასვენების დღე. ახალ ქვე[...] შექმნისათვის ექვსი წლის სისხლს ღვრის და [...] დამონურ შრომის შემდეგ მოდის მე 7 წელი. [...]რამ ის ასე იქნება მოსვენების წელიწადი. ის [...]ნება დიად და გაცხარებულ ბრძოლის წელი იმ[...]თი გმირობის და აღურაცხელ მსხვერპლის [...] გამარჯვების გზისაკენ მიმავალ და ჩვენ მივესალ[...]მებით მას როგორც ასეთს!

ლ. ტროცკი.

5 ნოემბერი 2923 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტული მთავრობის მეთაურად. დორტენი იქნება ემსსში, ვიდრე საფრანგეთის მართებლობა განთავისუფლებდეს საზოგადოებრივ შესწორების კომფლექტში, რომელიც სეპარატისტებმა აირჩიეს რეინლანდის მომავალ სატახტო ქალაქად.

**საოკუპაციო რეჟიმის შემსუბუქება**

**ბერლინი.** საფრანგეთი და ბელგია მოლაპარაკებას აწარმოებენ რურში საოკუპაციო რეჟიმის შემსუბუქების შესახებ.

# საბჭოთა კავშირში

**ამხ. მდივანი უმაღლეს საკონცესიო საბჭოში**

**მოსკოვი.** სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა ამხ. მდივანი შეიყვანოს უმაღლეს საკონცესიო კომიტეტში

**სახალხო განათლების კომისართა თათბირი**

**მოსკოვი.** 3 დეკემბერს გაიხსნა განათლების სახალხო კომისართა თათბირი, რომელზედაც მონაწილეობას იღებს 19-ზედ მეტი მოკავშირე ავტონომიურ რესპუბლიკის წარმომადგენელი.

**ინგლის-ამერიკის დელეგაციის ჩამოსვლა**

**მოსკოვი.** ინგლის-ამერიკის მსხვილ სამრეწველო სინდიკატების დავალებით, მოსკოვში ჩამოვიდა ინგლის-ამერიკის დელეგაცია. რომელშიაც შედიან ბრაუნი, გვინი და ბერლანდი. დელეგაციის მიზანია გამოიკვლიოს, თუ რამდენად შესაძლებელია უცხოეთის კაპიტალის ჩათრევა საბჭოთა რუსეთის მრეწველობაში. დელეგაცია განსაკუთრებით დაინტერესებულია სამთომადნო მრეწველობით და ლითონის მოპოებით.

# უცხოეთი

**მოსულის ნავთი**

**ნიუ-იორკი.** „ნიუ-იორკ გერალდის" ცნობით, ინგლისი სცდილობს ხელში ჩაიგდოს მოსულის ნავთი კონცესიების სახით, რომელიც მიეცა მას ახალი კონსტიტუციის ძალით, ახალი კონსტიტუცია სრულიად აქარწყლებს წინანდელ კონცესიებს, რომლებიც გადაცემული ჰქონდა წინად ინგლის-საფრანგეთის ნავთის საზოგადოებას.

**ხელშეკრულება ბოროტმოქმედთა გაცემის შესახებ**

**ჰელსინგფორსი** (ფინეთი). შვეციასა და ფინეთს შორის დაიდო ხელშეკრულება ბოროტმოქმედთა ურთი-ერთის თავის გადაცემის შესახებ.

**ესტონეთის დამოკიდებულება ს. ს. რ. კ.**

**რეველი.** მოსკოვიდან რეველში დაბრუნებულმა ესტონეთის ელჩმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ ს. ს. რ. კ. და ესტონეთს შორის ურთიერთობა სრულიად ნორმალურად ვითარდება და მეგობრული ხასიათი აქვს ამ ურთიერთობას. ბირკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკავშირო გამოფენამ ბრწყინვალედ შეასრულა თავისი დანიშნულება.

**ლატვიის მემარჯვენე სოც.-დემ. ყრილობა**

**რიგა.** 2 დეკემბერს რიგაში გაიხსნა მემარჯვენე სოც.-დემ. პარტიის პირველი ყრილობა, დღის წესრიგში სდგას ახალ სოც.-დემ. პარტიასთან გაერთიანების საკითხი.

**რუმინეთის დამოკიდებულება ს. ს. რ. კ.**

**ვენა.** რუმინეთის პარლამენტის სხდომაზედ გლეხთა პარტიამ ხელმეორედ შეიტანა წინადადება რუმინეთ-რუსეთს შორის განახლდეს ურთიერთობა.

**ს. ს. რ. კ. იურიდიულად ცნობისათვის**

**ბერლინი.** „ბერლინერ ტაგებლატში" დაბეჭდილ წერილში, მაკდონალდი ხაზგასმით აღნიშნავს რომ თუ არჩევნებში გაიმარჯვა მუშათა პარტიამ, იგი დაუყოვნებლივ მოითხოვს ს. ს. რ. კ. იურიდიულად ცნობას. „საბჭოთა მთავრობამ, სწერს მაკდონალდი, ღრმად ჩაუშვა ფესვები".

**არჩევნები ლონდონში**

**ლონდონი.** ინგლისის პოლიტიკურ წრეებში აუცილებლად სთვლიან, რომ კონსერვატორიები დაჰკარგავენ რამდენიმე მანდატს ლიბერალთა სასარგებლოდ.

ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ თუნდაც კონსერვატორებმა შეინარჩუნონ პალატაში უმრავლესობა, ეს უმრავლესობა მაინც საკმარისი არ იქნება სატარიფო რეფორმის განსახორციელებლად.

მებრძოლი პარტიები დიდ მნიშვნელობას აძლევენ სამხედრო პირების მონაწილეობას არჩევნებში.

**მახნოს პროცესი**

**ვარშავა.** სასამართლოში მახნოს პროცესის გამო გამოსულმა პოლონელმა ვექილებმა წარმოთქმულ სიტყვებში ხაზი გაუსვეს: „პოლონეთის მთავრობას არ შეუძლიან უარი სთქვას ისეთს „კოზირზედ", როგორიც არის მახნო, თუ კიდევ მოხდა ომი ს. ს. რ. კ-თან.

პილსუდსკის მომხრე ვექილმა პასხანსკიმ განაცხადა: „ჩვენ უკვე დავკარგეთ ისეთი „კოზირი", როგორიც იყო სავინკოვი, რომელიც უჩვენებდა პოლონეთს გზას მოსკოვისაკენ; ჩვენ არ დაუშვებთ, რომ დავკარგოთ ეხლა მეორე „კოზირი", მახნოს სახით", განთავისუფლებულ მახნოს მოათავსებენ საკონცენტრაციო ბანაკში.

თუ გაუკეთებთ ჯამს მთელს პროცესს, შეიძლება დავასკვნათ, რომ პოლონეთის საიდუმლო მილიციის პროვოკაციამ, რომელიც სცდილოგდა სახელი გაეტეხნა საბჭოთა სრულ-უფლებიან წარმომადგენლობისათვის ვარშავაში, ნაყოფი ვერ გამოიღო.

**სეიმის ახალი არჩევნები.**

**ვარშავა.** სეიმის წრეებში ხმებია, რომ მთელი პოზიცია სეიმში მოითხოვს ახალი არჩევნების დანიშვნას.

# საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

**რუსეთ-იტალიის ხელშეკრულების რატიფიკაცია.**

**პარიზი.** 1 დეკემ. იტალიის პარლამენტმა დაამტკიცა რუსეთ-იტალიის ხელშეკრულება.

**საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება.**

**რომი.** 2 დეკემ. იტალიის დეპუტატთა პალატა შეუდგა იტალიის და ს ს. რ. კავშირის შორის დროებით სავაჭრო ხელშეკრულების პროექტის გარჩევას. **მუსოლინიმ განაცხადა, რომ იტალია არ ხვდება არავითარ დაბრკოლებას საბჭოთა მთავრობის ცნობისათვის,** აღნიშნა იტალიასა და ს. ს. რ. კავშირის შორის არსებული კეთილი დამოკიდებულება და იმედი გამოსთქვა, რომ ხელშეკრულება ხელსაყრელი იქნება ორთავე სახელმწიფოსათვის. „საბჭოთა მთავრობის ცნობა,—სთქვა მუსოლინმა, უბრალო ფორმალობის საკითხია. სავაჭრო ურთიერთობის განახლება ფართო გზას გაუხსნის იტალიას სლავიანურ ქვეყნებისაკენ". ს. ს. რ. კავშირის ცნობის სასარგებლოთ სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ლაცცარიმ და ბომბაჩიმ.

იტალიის ბურჟუაზიული პრესა მიესალმება მუსოლინის განცხადებას და აღნიშნავს, რომ მუსოლინიმ თავის სიტყვაში დასახა იტალიის საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებელი გზა. ნაციონალისტურ პრესის აზრით, შეთანხმებამ იტალიის და ს. ს. რ. კავშირის შორის უნდა შეავსოს ესპანეთთან მომხდარი დაახლოვება. „კორიერე იტალიანო" სწერს, რომ აღმოსავლეთისაკენ მისწრაფების დროს იტალიას არ შეუძლია გვერდი აუხვიოს რუსეთს.

„ჯორნალე დ'იტალია" აცხადებს, რომ დადგა დრო იტალიის და ს. ს. რ. კავშირის შორის ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობის ჩამოგდებისათვის.

**ამხ ნოგინის მისიის გარშემო.**

**ნიუ-იორკი.** 2 დეკ. ამერიკის ფინანსიური და სამრეწველო წრეები დიდ ინტერესს იჩენენ საფეიქრო სინდიკატის თავმჯდომარის ამხ. ნოგინის მისიის მიმართ; ამხ. ნოგინი ჩავიდა ამერიკაში ბამბის შესასყიდავათ. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ნიუ-იორკის კორესპონდენტთან საუბრის დროს ამხ. ნოგინმა ხაზი გაუსვა იმ დადებით შთაბეჭდილებას. რომელიც მოახდინეს მასზე ამერიკის მრეწველებმა, რომლებმაც ის მეგობრულათ მიიღეს. ამხ. ნოგინმა აღნიშნა ის სერიოზული ინტერესი, რომელსაც იჩენენ ამერიკის სამრეწველო და ფინანსიური წრეები ს. ს. რ. კ. მიმართ. ამხ. ნოგინი დაწვრილებით ეცნობა ამერიკის საფეიქრო მრეწველობას, ბამბის ბაზარს და ამერიკის ფინანსებს.

**ს ს რ. კ ურთიერთობის აღდგენის სასარგებლოთ.**

**პარიზი.** 1 დეკემბერი. უნივერსალური დეპეშათა სააგენტო, რომელიც გამოხატავს საფრანგეთის ფინანსიურ წრეების აზრს, აღნიშნავს საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის შეცვლას ს. ს. რ. კ. მიმართ; სააგენტო ხაზს უსვამს იმას, რომ საფრანგეთმა არ უნდა დაუშვას საბჭოთა ბაზრით მონოპოლიური სარგებლობა საფრანგეთის გარეშე და ესალმება საფრანგეთის გაერთიანების დაარსებას რომლის მიზანია ს. ს. რ. კ. ეკონომიურ დამოკიდებულებათა აღდგენა და განმტკიცება. სააგენტოს აზრით, ეს გაერთიანება ხელს შეუწყობს პოლიტიკურ ურთიერთობათა აღდგენას საფრანგეთსა და ს. ს. რ. კ. შორის.

**რუსეთ-ფინეთის სავაჭრო ურთიერთობა.**

**ჰელსინგფორსი.** 30 ნოემბერი. გაზეთი „სოციალ დემოკრატ"-ი ამჟღავნებს რეაქციონერების მუშაობას რუსეთ-ფინეთის სავაჭრო ურთიერთობის განვითარების ხელის შესაშლელად. გაზეთი გაიხსენებს მემარჯვენე გაზეთების წინანდელ კამპანიას რუსეთში შეშის შეზიდვის წინაამდეგ და აღნიშნავს, რომ იგივე გაზეთები ამჟამად აგრარების ზეგავლენით აყაყანდნენ საბჭოთა რუსეთის პურის შეზიდვისა და აგრეთვე სავაჭრო ხელშეკრულების დადების წინააღმდეგაც. გაზეთი დაჟინებით მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ დაიდოს ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთიდან განუსაზღვრელად პურის შეზიდვის შესახებ, მით უმეტეს, რომ ფინეთში პურის მოუსავლობა იყო.

# სოციალ-გაუყიდველების ბანაკში

**ლევის ოპოზიცია.**

**ბერლინი.** 1 დეკემბ. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცეკას მიერ აკრძალული ლევის ორგანო „კორესპონდენტი" ხელახლა გამოდის და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს პარტიის ოფიციალურ პოლიტიკას „თუმცა ჩვენ--სწერს გაზეთი—პარტიიდან გამორიცხვით გვემუქრებიან, მაგრამ მაინც ძველებურად განვაგრძობთ ოპოზიციაში დარჩენას და პარტიის ტაქტიკის გაკრიტიკებას. გაზეთი მოითხოვს პარტიიდან ებერტის გამორიცხვას. იგი ემყარება რეიხსტაგის პრეზიდენტის ლების განცხადებას ფრაქციის და დახურულ სხდომაზე, რომ სოციალ-დემოკრატიული პრესა განაგრძობს კამპანიის წარმოებას ცეკას კოალიციონურ პოლიტიკის წინააღმდეგ და მოითხოვს კლასიურ პოლიტიკას მუშათა ფრონტის აღდგენის საქმეში.

# ახალი ამბები

— ხუთშაბათს, 6 დეკემბერს, სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში (ალექსანდრეს ბაღი, პუშკინის ბიბლიოთეკა, მე-3 სართული) დილის 11 საათზე, შესდგება ბიბლიოთეკის მუშაკთა საზოგადო კრება.

— **განათლების მუშაკთა სახლში.** ხუთშაბათს 6 დეკემბერს, საღ. 7 საათ. დანიშნულია № 1 მარქსისტული წრის მეცადინეობა სომხურ ენაზე, მუშათა სასახლე ოთახი № 36 ამხ. ავაჯიანის მოხსენება „დიალექტიკა და მისი შემადგენელი ნაწილები". წრის ხელმძღვანელი პოლოსიანი. პარასკევს 7 დეკემბერს საღ. 7 საათზე გაიმართება რუსული ენის მასწავლებელთა წრის სხდომა. მ. რ. ვახვახიშვილი გააკეთებს ინფორმაციას ლექსიური გაკვეთილების ზოგიერთ წესის შემოღების შესახებ.

— **მოხსენება აინშტაინზე.** დღეს დეკემბრის 5 ს. საღამოს სრულ 8 საათზე სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტი ხელოვნების სასახლეში მართავს საჯარო სხდომას მოხსენებას წაიკითხავენ: პროფ. ა. რაზმაძე და გრ. რობაქიძე „ალბერტ აინშტაინ".

— **კურორტ ბახმაროს შესახებ.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა: კურორტ ბახმარო სამთო-სანიტარულ საზღვრების გასამიჯნავად დაარსოს სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალება ბახმაროს საზღვრების დათვალიერება და გამოკვლევა.

— **დახმარება ცეცხლისგან დაზარალებულს წიგნაკის მცხოვრებთ.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა: დუშეთის მაზრის სოფ. წილკანის ცეცხლისაგან დაზარალებულ მცხოვრებთ მიეცეს დახმარება 2000 მან. ჩერვონცების სახით და ამის გარდა მიეცეს წინადადება სასურსათო კომისარიატს დასახელებულ მიზნით გადასდოს 2.000 ფ. ხორბალი მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ფონდიდან.

— **გადასახადის ნარჩენი აფხაზეთში.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ, სასურსათო კომისარიატს მიმართავს თანახმად დაადგინა: 1912 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენი აღარ აკრიფონ.

— **ამხ. ს. წულუკიძის გარდაცვალებულ მამის დასამარხავად.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა: ქ. ხონში ამხ. საშა წულუკიძის გარდაცვალებულ მამას მ. წულუკიძის დასამარხავად გადასდო 2 მილიარდი მან.

— **მთავრობის „უწყებები"**, საქ. სახ. კომისართა საბჭომ აუცილებელ საჭიროდ სცნო საქ. ცაკის და კომისართა საბჭოს ჟურნალ „უწყების" დაარსება. სარედაქციო კოლეგიაში არჩეულნი არიან ამხ. ვარძიელი, ტალახაძე, და სალაღიძე.

— **დახმარების გაცემა კურსის მიხედვით.** დამზღვევ კასის პრეზიდიუმმა დადგინა: დაზღვეულების დასახმარების მიცემა აწარმოოს ფულის კურსის დღის მიხედვით.

— **უმუშევრთა აღრიცხვა.** 28—29 და 30 ნოემბერს შრომის ბირჟაზე აღრიცხვაზე გამოცხადა—966 უმუშევარი. აღრიცხვაზე დარჩენილია—900. აღრიცხვიდან მოხსნილია 66 კაცი.

— **დაზღვეულ უმუშევართა საყურადღებოდ.** შრომის ბირჟა დაზღვეულთა საყურადღებოდ აცხადებს რომ დახმარების გაცემა: აღმშენებლობის, ხეზე მომუშავეთა, სახალხო კავშირის მედიკოსანიტ. ხელოვნების მუშაკთა და განათლების მუშაკთა სექციებში იწარმოებს 6 დეკემბერს.

— **მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.** სასურსათო კომისარიატის ცნობით 1 დეკემბრისათვის აკრეფილია საქართველოში სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან—989.064 ხორბლის ერთეული. ფულად 773 მილიარდი, 518 მილიონი 774900 მან.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 3 დეკემბერს შრომის ბირჟაზე ახლად ჩაეწერა 27 უმუშ. სამუშაოზე გაიგზავნა 92 უმუშ. მცთხოვნილება იყო 60 უფლება აღედგინათ 14 კაცს.

— **დახმარება სახალხო სახლს.** ქ. აღმასკომმა დაადგინა სახალხო სახლის 30 წლის იუბილეისათვის მიეცეს ერთდროული დახმარება 5 მილიარდი მან.

— **სპეციალური ტანისამოსის** შეძენა მილიციის თანამშრომლებისათვის. ქ. აღმასკომის პრეზიდიუმა დაადგინა: მილიციის შიკრიკებს და თანამშრომლებს სპეც. ტანსაცმელის ხარჯთ-აღრიცხვა 305 მან. 95 კაპ. დაამტკიცდეს და შეძენილი იქნას ზემო დასახელებული ტანსაცმელები.

—**სოციალურ უზრუნველყოფის საქმე ოზურგეთის მაზრაში.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა ოზურგეთიდან ცნობა მიიღო —ნოემბერში კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოდან იქ მიეცა დახმარება ბავშვთა სახლს: 1.622,595,000 მან. დაიხარჯა უპატრონოთ დარჩენილ ბავშვებზე 176,200,000 მან., პენსიონერებზე 478,650,000 მან., ლანჩხუთის თემის გლეხთა კომიტეტმა დარიბ გლეხებს მისცა დახმარების სახით ორი მილიარდი მანეთი.

— **ოთხმოცი მილიარდი მანეთი საგლეხო კომიტეტების ფონდში.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა შორაპნის მაზრიდან ცნობა მიიღო, რომ იქ გლეხობამ სურსათ-სანოვაგის გარდა ჯერ-ჯერობით ფულად ოთხმოცი მილიარდი მანეთი შეაგროვა და შეიტანა ის გლეხთა კომიტეტების ფონდში შავი დღისათვის მოსახმარათ.

— **ერთი დღის ულუფა გერმანიის მუშების სასარგებლოდ.** მესამე საინვალიდო სახლში მცხოვრებმა ინვალიდებმა ერთხმად დაადგინეს ერთი დღის თავის ულუფა შესწირონ გერმანიის პროლეტარიატს, რომელიც იბრძვის ჩაგრულების მჩაგვრელების კლანჭებიდან გასანთავისუფლებლათ.

— **დახმარება დაზღვეულ უმუშევრებს.** შრომის ბირჟის დამზღვევი განყოფილება ამით აცხადებს დაზღვეულ უმუშევართა საყურადღებოდ, დახმარების გაცემა იწარმოებს 3 დეკემბრიდან, მბეჭდავთა ტრანსპორტზე მომუშავეთა, მელითონეთა, ფეიქართა, მეტყავეთა და მკერვალთა სექციაში.

**შემთხვევები.**

**პატიმრის გაქცევა.** 2 დეკემბერს დღის 12 საათზე სამმართველოსთან არსებულ სატუსაღოდან გაიქცა ტუსაღი სერგო მამუკოვი 14 წლისა, რომელსაც ბრალდებოდა ჯიბგირობა.

— **ჯიბგირების ლეპყრობა.** 2 დეკემბერს შუადღის 12 საათზე ცენტრალურ ბაზარში მოქ. არამ პალინცს ამოაცალეს ჯიბიდგან ჯიბგირმა ფული, რომელიც შეპყრობილი იქმნა და აღმოჩნდა აბრამ-ელიას-ოღლი.

— **ბინის გაქურდვა.** 1 დეკემბერს საღამოს 7 საათ. ალექსანდროვის ქ. № 3 გაქურდული იქმნა მოქ. ვარვარა მანწველოვის ბინა, საიდგანაც წაღებულია ვერა მანწველოვის ბინა, საიდგანაც წაღებულია რვა მილიარდი მან. ღირებული ნივთები. ნაპარავი ნივთები აღმოჩენილია. ეჭვით შეპყრობილია წიკლაური მიხეილი.

— **დაჭრა.** 30 ნოემბერს ღამის 11 საათზე დაჭრილი იქმნა ხანჯლით მოქ. ვლადიმერ კუჩკოვი ბოროტმოქმედების მიერ, მოქ. კუჩკოვი გადაგზავნილია საავადმყოფოში. კვლევა ძიება სწარმოებს.

— **ქურდის შეპყრობა.** 1 დეკემბერს შეპყრობილი იქმნა მოქ. არამ ბუსიანცი რომელსაც მითვისებია არამ ოგანიანცის ნივთები ღირებული 73 ჩერვონცის.

— **ცეცხლი.** 1 დეკემბერს დღის 12 საათზე მოქ. ტერტეროვის სასადილოს პუშკინის ქ. № 10 გაჩნდა ცეცხლი, რომელიც მალე იქნა ჩაქრობილი იქნა ცეცხლისმქრობელი რაზმის მიერ.

— **მაღაზიის გაქურდვა.** 28 ნოემბერს გაქურდული იქნა აზიური ტანთ-საცმელის მაღაზია, მოქ. იცაკინის, რომელიც მდებარეობს მადათოვის კუნძულზე, საიდგანაც წაღებულია ტანისამოსი ღირებული 95 ჩერვონეცის.

— **ტუსაღის გაქცევა.** 29 ნოემბერს საღამოს 7 საათზე მე-10-სამილიციო რაიონის სატუსაღოდან გაიქცა ტუსაღი ტერენტი გურჯანიძე, რომელსაც ბრალი ედებოდა ქურდობაში.

**პროვინციის ცხოვრება**

— **გაგრის სანაპიროს გამაგრება.** გაგრის სანაპიროს გასამაგრებლად განახლდა მუშაობა, რომელიც შეჩერებული იყო შტატების შემცირების გამო.

— **განათ. მუშაკთა კავშირის კონფერენცია.** 12 დეკემბერს დანიშნულია სრულიად აფხაზეთის განათ. მუშაკთა მესამე კონფერენცია.

— **ვალიუტის კურსი.**

| | | |
|---|---|---|
| ჩერვონეცი | 212.000 | მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 207,500 | „ |
| ჩეკი. | 207,500 | „ |
| დოლარი ეფექ. | 48,000 | „ |
| ჩეკი. | 46,0000 | „ |
| ოსმალური ლირა | 26,5000 | „ |
| საბჭოთა ფული | 13,500 | „ |

# პარტიაში

ცენტრალური გამწმენდი კომისია ამით აცხადებს იმ ამხანაგების საყურადღებოდ, რომლებმაც ვერ მოასწრეს საანკეტო ფურცლების შევსება, შეავსონ ასეთები და წარმოადგინონ სამი დღის განმავლობაში, გაზ. „ტრიბუნა"ს რედაქციაში.

**გამწმენდ კომისიის მდივანი.**

# ბიბლიოგრაფია

**„მეგობარი"**, შრომის სკოლის III განყ. სრული კურსი, შედგენილი თ. კიკვაძის და გ. ჭუმბურიძის მიერ. 144 გვ. ტფილისი 1923 წ. გამოცემა „ცეკავშირისა". სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიერ წიგნი ნებადართულია სკოლებში სახმარ სახელმძღვანელოდ.

სასკოლო ქრისტომატია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მთავარ მოთხოვნილებას: უნდა შეიცავდეს რჩეულ მასალას მშობლიურ ლიტერატურიდან დედაენის შესათვისებლად; ამავე დროს ეს მასალა უნდა იყოს შესაფერი—ასაკისათვის გასაგები, როგორც შინაარსით, ისე ფორმით; უნდა იწვევდეს ბავშთა ინტერესს, რომ მათ შერჩეთ სწავლის ხალისი; ქრისტომატიაში მოთავსებული მასალა აგრეთვე უნდა შეეფერებოდეს თანამედროვე სწავლა აღზრდის მიზანს, რომ მაზედ შესაძლებელი იყოს

ზნეობრივი პიროვნების აღზრდა, ხასიათის გამომუშავება. კიდევ ბევრი რამ ახასიათებს რიგიან სასკოლო ქრისტომატიას, მაგალითად მასალის დალაგება განსაზღრული სისტემის მიხედვით, მისი განაწილება წიგნის განყოფილებათა შორის თანახმად პედაგოგიკის წესებისა, მრავალ ფეროვანობა მასალისა და სხვა, მაგრამ ჩვენ მოგახსენებთ მთავარზედ და ასეთად კი უეჭველად უნდა ჩაითვალოს სახელმძღვანელოს ლიტერატურული და მორალური მხარე.

ამ თვალსაზრისით თუ მივუდგებით,—და სხვანაირად არ შეიძლება, სასკოლო ქრისტომატიის შეფასება,—**„მეგობარი“** არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებელად. (მე მხედველობაში მაქვს მარტო ლიტერატურული მხარე წიგნისა). ცოცხალი ქართული ენის შესასწავლად უნდა მივმართოთ ქართველ მწერლებს და ქართველ ხალხს. ეს უდავოა. მაშასადამე ქრისტომატიის შედგენის დროსაც მასალები უნდა ავიღოთ ქართველი მწერლებიდან და ხალხური ლიტერატურიდან. რასაკვირველია მასალას უნდა შერჩევა, გადაკეთება და სხვა. „მეგობარის“ ავტორები კი ასე არ მოქცეულან. მათ აუღიათ და თითქმის მთელი სახელმძღვანელო **შეუთხზავთ**. წმინდა ტექსტს სახელმძღვანელოში უკავია დაახლოვებით 100 გვერდი. აქედან ავტორების მიერ „მეგობრისათვის“ საგანგებოდ დაწერილ ნაწარმოებს უჭირავს სულ ცოტა 85—90 გვერდი. ქართველ მწერლებს მაშასადამე დათმობილი აქვს ქრესტომატიაში 10—15 გვერდი და აქედანაც ნახევარი მაინც გადმოკეთებულია ავტორების მიერ. ასე რომ ქართველ მწერალთა გადაუკეთებელ ენას უჭირავს სულ რაღაც 7—8 გვერდი.

ამ რიგად თითქმის მთელი სახელმძღვანელო შეთხზულია ორი ავტორის მიერ. ეს კი ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან ქრისტომატიის მთავარი მიზანია ენის შესწავლა და ვერც ერთი მწერალი ვერ ამოსწურავს დედა-ენის მრავალ-ფეროვანობას და სიმდიდრეს, რაც გინდ გენიოსი არ იყოს ის. რამდენადაც მე ვიცნობ სასკოლო ლიტერატურას, ამ გზით სახელმძღვანელოებს ადგენდა ლ. ტოლსტოი. ამ მიზნით მან შეისწავლა ხალხური ენა და მთელი საქრისტომატიო მასალა გადააკეთა მხატვრულ ხალხურ ენაზედ. ტოლსტოი თვითონ თხზავდა სასწავლო მასალას, მაგრამ თხზავდა არა თავის ენაზედ, რომელზედაც მას რომანები აქვს დაწერილი, არამედ გამშვენიერებულ ხალხურ ენაზედ, მთელი მისი სიმდიდრის და მრავალფეროვანების დაცვით. ტოლსტოი დიდი ხელოვანი იყო და მან ეს მოახერხა. ის ბავშებს ასწავლიდა არა თავის (ტოლსტოის) ლიტერატურულ ენას, არამედ ხალხურს.

„მეგობრის“ ავტორები კი ბავშებს აწვდიან თავის საკუთარ ქართულს, მართალია ფრიად გამარტივებულს და გასაგებს, მაგრამ ეს არ კმარა დედა-ენის შესასწავლად. მე აქ არ ვეხები „მეგობრის“ ენის ავკარგიანობას. საკითხს ვაყენებ პრიციპიალურად და ვამბობ, რომ **ორი ავტორის ნაწერებზედ არ შეიძლება დედა-ენის შესწავლა**. ყოველ მწერალს თავისი განსაკუთრებული სტილი აქვს, თავისებურად იყენებს სიტყვებს და გამოთქმებს, ჰქმნის საკუთარ მხატვრულ სახეებს და აქედან იქნება ენის სიმდიდრე, მისი მრავალ-ფეროვნობა. ამიტომ სასკოლო ქრისტომატიისათვის შესაფერი მასალა უნდა ამოიკრიფოს ქართული ლიტერატურიდან აუცილებლად.

ამ წესით არის შედგენილი ყველა რუსული ქრისტომატიები, რომელიც კი შეგვხვედრია და იქ შემდგენელთა ენას ძალიან მცირე ადგილი აქვს დათმობილი.

ეს წესი არ არის დაცული „მეგობარში“ და ესაა მისი უმთავრესი ნაკლი. ავტორებს დიდი შრომა გაუწევიათ, რომ ამდენი შესაფერი მასალა შეუთხზავთ. ამისი ნახევარი დრო და ენერგია რომ კიდევ დახარჯონ, ადვილად შეავსებენ ,აღნიშნულ ნაკლს და სახელმძღვანელოში შეიტანენ სათანადო მასალას ქართული ლიტერატურიდან. მესამე განყოფილებისათვის შესაფერი მასალა უეჭველად მოინახება ჩვენ მწერლობაში და ხალხურ პოეზიაში.

გარდა ამისა „მეგობარი“ ძალიან ღარიბია იგავ-არაკებით და ლექსებით. ალბათ ეს იმით აიხსნება, რომ ავტორებს პოეტობა ველარ უკისრიათ და ლექსები, იგავ-არაკები არ შეუთხზავთ. სხვისი ნაწარმოების შეტანას კი თავიანთ სახელმძღვანელოში ძალიან ერიდებიან. მაგრამ რითაც არ უნდა იყოს გამოწვეული ეს გარემოება, მას უეჭველად გამოსწორება უნდა. იგავ-არაკი ჩინებული მასალაა ბავშებისათვის, ძალიან უყვართ და ხალისით სწავლობენ. გარდა ამისა იგავ-არაკებს დაუფასებელი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მათში აღნიშნული და დაგმობილია ბევრი ნაკლი ჩვენი ცხოვრებისა, ამიტომაც სასკოლო ქრისტომატიებში მუდამ დიდი ადგილი აქვს დათმობილი იგავ-არაკებს. „მეგობარში“ კი მოთავსებულია სულ ხამი იგავ-არაკი...

ლექსებიც ძალიან ცოტაა წიგნში. სულ 17 ლექსი დავითვალეთ. მათგან ორი-სამი მოგვეწონა მხოლოდ. ლექსებით მაინც მდიდრები ვართ ქართველები და შესაძლებელი იყო უფრო კარგი და მეტი ლექსების არჩევა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ანდაზების სიმცირე, რაც შეეხება თვით ავტორების მიერ შეთხზულ მოთხრობებს, ისინი ძალიან დიდრონია მესამე განყოფილების ბავშებისათვის. ასეთ გრძელ, ორი-სამი ნაწილისაგან შემდგარ მოთხრობებს ვერ დასძლევენ ბავშები ერთ გაკვეთილზედ. ასეთი მასალა უფრო გამოდგებოდა სახლში წასაკითხავად და უკეთესი იყო ზოგიერთ მათგანის მოთავსება წიგნის ბოლოში დამატების სახით. სკოლაში პირდაპირ გაკვეთილებზედ შესასწავლად კი საჭიროა მოთხრობები. ამ რიგად ჩემი აზრით „მეგობარი“ უნდა შესწორდეს შემდეგ ნაირად: აღნიშნულ მოთხრობათა ნაწილს უნდა დაემატოს რამდენიმე მოთხრობა სხვა ავტორებისა, აგრეთვე ერთი-ორი ზღაპარი და მოთავსდეს წიგნის ბოლოში, როგორც სახლში თავისუფალი საკითხავი მასალა. ეს მით უფრო კარგი იქნება, რომ საყმაწვილო ლიტერატურით ძალზე ღარიბნი ვართ და ჩვენ მოწაფეებს სახლში საკითხავი წიგნები არ გააჩნიათ. ბოლოში გადატანილ მოთხრობათა ადგილი უნდა დაეთმოს შესაფერ მასალას ქართული ლიტერატურიდან.

ერთი მოთხრობა კი, სახელდობ „ბედის ბალახი“ (100 გვ.), უსათუოდ ამოღებული უნდა იქნეს სახელმძღვანელოდან, ვინაიდან ეს მოთხრობა ცრუმორწმუნეობის პროპაგანდაა და სხვა არაფერი.

ვერც სურათებით დაიკვეხნის „მეგობარი“. საჭიროა უფრო კოხტა და ლამაზი ილუსტრაციები; აგრეთვე ფოტოგრაფიული სურათები ქალაქის და სოფლის.

ენის მხრივ „მეგობარი“ სავსებით იმერულია. ამ ნაკლის გამოსწორებაც შესაძლებელია მხოლოდ ჩვენ მიერ ნაჩვენები გზით. მაგრამ ამ იმერულშიაც ჩვენ შევნიშნეთ ზოგიერთი შეცდომები.

მაგ. **ჰ**-ს და **ხ**-ს ხმარებაში არ არის დაცული ერთი წესი. ნახმარია: **თქვა, თოვდა, ხთლიდა**. უნდა იყოს; სთქვა სთოვდა. ან თუ თ-ს წინ არ ხმარობენ **ხ**-ს, მაშინ უნდა იყოს **თლიდა**. სწერია: **ტიროდა, დახტაცა**. თუ **ტიროდაა** სწორი, მაშინ უნდა ვსთქვათ **დატაცა**; და თუ **დახტაცა**,—მაშინ **სტიროდა**. სწერია: **ქენ, ჰქონდა**. უნდა იყოს: **ჰქენ**, ანდა **—ქონდა**.

მე-5 გვ. მოთხრობილია გუშინდელი ამბავი,—სოფელში ჰაეროპლანის გამოჩენა,—და ნათქვამია, ზოგიერთი გლეხები კაჟიანი თოფებით შეიარაღდენო. არ მგონი, რომ ახლა კაჟიანი თოფი ხმარებაში იყოს ჩვენში.

„გაშალეს ფოთლების სუფრა და ზედ დაალაგეს: ყველი, ხარშო, ლობიო და შემწვარი ქათმები“. (24 გვ.).

როგორ დაალაგეს ფოთლებზედ ხარშო—ვერ წარმომიდგენია...

120 გვერდზედ ვხვდებით აგარაკზედ მიმავალ მგზავრებს. ბავშები ყუთებში ჩაუსხამთ, აუკიდიათ ცხენზედ და ისე მიდიან აღმართში. შუადღე გადასული იყო, როცა მგზავრებმა აღმართები გაათავეს. ახლა გზა სწორი იყო. აგერ გზის ნაპირას თოვლიც გამოჩნდა.

„— ბიჭო, თოვლი, თოვლიო! შექნეს ბავშებმა ყვირილი და ყუთებიდან გადმოხტენ“. ცხენზე აკიდებული ყუთებიდან ბავშები ვერ გადმოხტებოდენ.

არც სოფლის პატარა გოგონები იქნებოდნენ იმდენად სულელები, რომ ბატებს მიჰყოლოდნენ და წყალში გადაცვივნულიყვნენ ტანთ გაუხდელად. (131 გვ.).

კატის ტურტლიანი კუნტი, რომელიც სიმშილისაგან ძლივს დალასლასებდა არ შეიძლება „**საშინელი სისწრაფით**“ სახლის სახურავზედ შემხტარიყო“. (92 გვ.).

ან კიდევ: „ამ დროს **საშინელი ხმით გაირღვა ჰაერი**, გაისმა ძლიერი ტურ!.. ტურ!.. და“... რა გგონიათ?.. „ბუჩქიდან მამალი ხოხობი ამოვარდა შურდულივით“. (15 გვ.) ნეტავი რა მფრინავი ვეშაპია ეს ხოხობი, რომ ასეთი საშინელი ხმით მიარღვევს ჰაერს!

პუნქტუაციასაც მეტი ყურადღების მიქცევა უნდა უსათუოდ.

წიგნი ძლიერ კარგ ქაღალდზედ არის დაბეჭდილი და სუფთა გამოცემაა. თუ ავტორები დაგვეთანხმებიან და ჩვენ მიერ აღნიშნულ მთავარ ნაკლს გამოასწორებენ შემდეგ გამოცემაში, „მეგობარი“ კარგი სახელმძღვანელო გამოვა და ჩინებულ მეგობრობას გაუწევს ჩვენ ბავშებს.

პ. ჭ.

---

## ქრონიკა

**პოეტები შუშაბანდებში.** იანვრის პირველ რიცხვებში გამოვა ი. გრიშაშვილის წიგნი „პოეტები შუშაბანდებში.“

---

**ჟურნალი „დროშა“,** ჟურნალ „დროშა“-ს რედაქციის წარმომადგენელი გაემგზავრა საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში ფოტოგრაფ კოზაკის თანხლებით ადგილობრივ ისტორიულ თანამედროვე ღირსშესანიშნავ ადგილების და ძეგლების გადასაღებად. რომლებიც შემდეგ მოთავსებული იქნება ჟურნალში.

---

**დახმარება სახალხო სახლს.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა სახალხო სახლს, მისი 30 წ. იუბილეს გამო, რომელიც გაიმართება 9 დეკემბერს, დახმარების სახით მიეცეს 5 მილიარდი.

---

**სახელმწიფო ოპერა.** დღეს დეკემბრის 5-ს წარმოდგენილი იქნება ოპერა „მოცარტი და სალიერი 2 მოქმედებათ მუსიკა რიმსკი-კორსაკოვისა და „ჯამბაზები“ ოპერა 2 მოქმ. მუსიკა ლევონკოვალოსი. ხუთშაბათს დაიდგმება, ოპერა „კარმენ“-ი, ადა რებონეს და ი. პ. სარაჯიშვილის მონაწილეობით.

---

**რუსული დრამა.** დღეს დეკემბრის 5 ს სახალხო სახლში რუსული აკადემიური დრამის მსახიობთაგან წარმოდგენილი იქნება მეორედ ამ სეზონში ოსტროვსკის ცნობილი კომედია „სილარიბე ნაკლი არ არის“ 4 მოქმ. ცეკვით, სიმღერით და თამაშით. მონაწილეობენ საუკეთესო მსახიობნი, მზადდება წარმოსადგენად [illegible] კომ. 3 მოქ. „კანონი“ [illegible] გენიოსი“ მაგრი[illegible] კამენსკისა და სხვა ახალი პიესები.

**სომხური დრამა,** დღეს, დეკემბრის 5-ს რუსთაველის თეატრში სომხური დრამის მსახიობთაგან წარმოდგენილი იქნება პ. ჰაუპტმანის ცნობილი დრამა ზღაპარი დაძირული ზარი“ 5 მოქ. დადგავს ალიხანიანი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.


### ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების რკინისგზათა სამმართველო

აცხადებს, რომ ა—წ. 20 დეკემბერს დილის 10 საათზე, ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამართველოში (სადგურის ქუჩა № 1) დანიშნულია წერილობით

# საჯარო ვაჭრობა

რომლითაც 1 იანვრიდან 1924 წლის 1 ოქტომბრამდე იჯარით გაიცემა:

**ვაგონი—ბუფეტები,** რომლებიც თან ახლავს მატარებლებს № 7 | 8 ბათომსა და ბაქოს შორის სამი შემადგენლობით, მატ. № 3 | 4 ბათომიდან ტფილისამდე ორი შემადგენლობით და მატ. № 3—4 ტფილისიდან ერევნამდე სამი შემადგენლობით.

**ბუფეტები I და II კლასის,** შემდეგ სადგურებზე: ბათომი, სამტრედია, ახალ სენაკი, ზესტაფონი, შორაპანი, ჭიათურა, ხაშური, მცხეთა, ტფილისი, ნავთლუღი, კარაკლისი, ალექსანდროპოლი, ერევანი, ნახიჩევანი, აქსტაფა, შამხორი, განჯა, ევლახი, უჯარი, კიურდამირი, აჯი-კაბული, ბალაჯარი, ბაქო-საბუნჩი, საბუნჩი, ხაჩმასი.

**ბუფეტები მე-III-ე კლასის** შემდეგ სადგურებზე: ბათომი, ჩაქვი, ქობულეთი, ნატაბებე, ლანჩხუთი, სამტრედია, აბაშა, ზესტაფონი, ბოსლევი, ჭიათურა, საჩხერე, ძირულა, მოლითი, ხაშური, ბორჯომი პარკი, ბაკურიანი, მცხეთა, ტფილისი, ნავთლუღი, ვაზიანი, იორი, საგარეჯო, ბადიაური, მელაანი, გურჯაანი, კარდანახი, წნორის-წყალი, თელავი, სალოღლი, სანდარი, სადახლო, შაგალი, კარატაუზი, ძეგამი, დოლიარი, შამხორი, განჯა, დალ-მამეტლი, ევლახი, ლიიკი, უჯარი, მიუსიუსლი, ქურდამირი, საგირი, კარასუ, აჯიკაბული, ნავაგი, ბალაჯარა, ბაქო 1, ბაქო-საბუნჩი, სუმგაიტი, იაშმა, კიზილ-ბურუნი, დიკიჩი, ხაჩმასი, კუსარ ჩაი, ხუდატი, იალამა.

**სავაჭრო დარაზები** შემდეგ სადგურებზე: ბათომი—ნავთსადგური, ჩაქვი, ციხის-ძირი, ჯუმათი, ლანჩხუთი, საჯევახო, სამტრედია № 1, 2 და 3, ახალ-სენაკი, ფოთი, მუხიანი, რიონი № 1 და 2, ქუთაისი, ზესტაფონი, ჭიათურა, ძირული, ხარაგოული, მარელისი, მოლითი, წიფა ხაშური, სურამი, სუმბათოვო, ბორჯომი, ქარელი, გორი, კასპი, ქსანი, ტფილისი, აღებული სხიერელის მიერ, ნავთლუღი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორის წყალი, სანდარი, სადახლო, ახტალა, სანაინი, კალაგერანი—№ 1, აღებული ტანდოლიანცის მიერ. შაგალი, კარაკლისი, ამამლი, ალექსანდროპოლი № 1, სარდარ-აბადა, ეჩმიაძინი, ერევანი, შახტატი, ნახიჩევანი, აგტაგლია, ყარაიაზი, აქსტაფა, ტაუზი, ძეგამი, შამხორი, განჯა № 1, 2, 3, 4, 5, 6 და 7 (№ 7 ვარდიევის) ოალ-მამეტლი, ევლახი—№ 1 და 2, ლიაკი, უჯარი, ქურდამირი, აჯიქაბული № 1 და 2, სანგაჩალი, ბალაჯარი № 1 და 2, ეიბათი, ბაქო I, ბაქო II, ბაქო-საბუნჩის, საბუნჩი. ხაჩმასი—№ 1 და 2, კუსარჩაი, ხუდატი, იოლამი.

**ბუფეტი ფარდულები**—შემდეგ სადგურებზე: ხრესილი, ტყვიბული, ავჭალა და შულავერი.
**დუქანი „საჩაიე“**: ბაქო 1.
**ბარდული „ლარიკი“**: განჯა № 1 და 2 და კიურდამირი.

**საპირფარეშოები**—შემდეგ სადგურებზე: ბათომი, სამღრედია, აბაშა, ახალ-სენაკი, ფოთი, რიონი, ქუთაისი, ზესტაფონი, შორაპანი, ჭიათურა, საჩხერე, ხაშური, ბორჯომი, გორი, ტფილისი, ნავთლუღი, გურჯაანი, სანაინი, კარაკლისი, ნახიჩევანი, აქსტაფა, ტაუზი, განჯა, ევლახი, აჯიქაბული, ბაქო 1, ბაქო-საბუნჩის, საბუნჩი.

**შემნახველი კამერები**—შემდეგ სადგურებზე: ტფილისი, ბაქო, განჯა.

**შკაფები**—შინამრეწველობის ნაწარმოებთათვის—სად. განჯა.

ის პირები, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობაში. ვალდებული არიან თავიანთი განცხადებები დახურულ კონვერტებში ჩააგდონ საბჭოს დარბაზის კარებთან სპეციალურად ამისათვის გაკეთებულ ყუთში ან გიდმოგზავნონ ასეთები ფოსტით. კონვერტიებზე უნდა იყოს შემდეგი წარწერა: „ამიერ-კავკასიის რკ. გზის გზათა სამმართველოს 1923 წ. 20 დეკ. საჯარო ვაჭრობისათვის ბუფეტების, ფარდულების და სხვა იჯარით გაცემისათვის; განცხადებებში აღნიშნული უნდა იყოს: სახელდობრ რის იჯარით აღება აქვს მსურველს. განზრახული და ფასს იძლევა წლიურად ჩერვონეცის ანგარიშით,

განცხადებებს თან უნდა ახლდეს:

1) ქვითარი გირაოს შეტანის შესახებ წამოყენებული ფასის არა ნაკლებ 10-პროც. იმ პირებმა, რომელთაც სურთ რამოდენიმე წარმოების აღება იჯარით, განცხადებები უნდა წარმოადგინონ ცალ-ცალკე თვითეული წარმოებისათვის შემოღებული წესით და უნდა შეიტანონ თვითეულ წარმოების საიჯარო ფასის 10-პროცენტი.

2) განცხადებებისათვის გადახდილი უნდა იქნეს საღერბო გადასახადი.

იჯარით გაცემის დროს სამმართველო იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებული ფასით, არამედ სხვა მოსაზრებებითაც, რომლებიც შეეფერებიან რკინისგზის სამეურნეო ინტერესებს.

სათანადო ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 12 საათიდან დღის 2 საათამდე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა (ტფილისი, სადგურის ქუჩა № 1, ოთახი № 64).

**შენიშვნა:** ხელშეკრულების ხელის მოწერამდე, გირაოს და ხელშეკრულების შედგენასთან დაკავშირებულ სხვა გადასახადების შეტანამდე ის პირი, რომელსაც დარჩება იჯარით წარმოება, არ იქნება დაშვებული სავაჭროთ. 1—2



# განცხადება

### ა. კ. რ. გზათა შეერთებული მმართველობა

### ამით აცხადებს, რომ ა. წ. პირველ დეკემბრისათვის

დანიშნული ამ კავ. რკ. გზ. სამმართველოში (ტფილისი, ვაგზლის ქ. № 1)

# შეჯიბრება

სამუშაო რიგის გასაცემათ დატვირთვის, გადმოტვირთვის და გადატვირთვის ტვირთის და ბარგის, ტვირთის დაცვით, აგრეთვე მგზავრებისათვის მოხმარებისათვის გადამტვირთველების მიერ შემდეგ სადგურებზე საქართველოში, აზერბეიჯანში, სომხეთში, „ნახკრაიუ“ უარყოფილია და დანიშნულია ასეთები ა. წ. თორმეტ დეკემბრისათვის დღის 12 საათზე.

1—2


ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 877 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტერნის ქუჩ. № 4.